თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

11 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწყობით და სარეაბილიტაციო სამუშაოებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.
კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა: სათავე ნაგებობა, დამცველი კვანძი, ჭა ჰიდრანტით, გამშვები ნაგებობა შემტბორავით, დიუკერი, ფოლადის მილსადენი სიგრძით 2,1 კმ. გაიწმინდება მიწის არხის 3,2 კილომეტრიანი მონაკვეთი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად რეგულარულად მოირწყვება 195 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით სოფელ თელას მოსახლეობა ისარგებლებს.
პროექტის ღირებულება შეადგენს 852 000 ლარს.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

დღეისათვის კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 17 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ დამატებით 3 200 ჰექტარი სავარგული მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდების რეჟიმი 9 300 ჰექტარზე გაუმჯობესდება.

მთისძირა არხის რეაბილიტაცია დასრულდა

13 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მთისძირა არხის რეაბილიტაცია დაასრულა.

პროექტის ფარგლებში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან დამშრობი არხის ჯამში 17 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა არხზე მოწყობილ სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად არხის გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც 6900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას გააუმჯობესებს.

30 წლიანი პაუზის შემდეგ სოფლებში ხიხანსა და შაუმიანში სარწყავი სისტემა ამოქმედდება

15 ოქტომბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კომპანიის „საქართველოს მელიორაცია“ დირექტორთან, დავით წითლიძესთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონის სოფლებში, ხიხანსა და შაუმიანში სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

„სამელიორაციო-საირიგაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში, კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებშიც კი, შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ჩვენ ქვემო ქართლის რეგიონში დავიწყეთ სრულდება, რაც, დამატებით, 1000 ჰექტარზე მეტი ტერიტორიის წყალუზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს. ამ ეტაპისთვის, მთლიანად ქვემო ქართლში, 20 000 ჰექტარზე მეტი ფართობი ირწყვება. წლიდან წლამდე, წყალუზრუნველყოფილი ტერიტორიები როგორც ქვემო ქართლში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში იზრდება, რაც ახალ შესაძლებლობებს აჩენს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის არსებობის გარეშე, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილებების პირობებში, თანამედროვე სოფლის მეურნეობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია წყლით უზრუნველყოფასთან, ვერ განვითარდება. ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ სარწყავი და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ჩვენი მომდევნო ოთხი წლის მნიშვნელოვანი გეგმა და პრიორიტეტია“, -აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

სოფლებში ხიხანსა და შაუმიანში სამელიორაციო ინფრასტრუქტურა 3 ათეული წელია არ ფუნქციონირებს. „საქართველოს მელიორაციის“ მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით, მარნეულის მუნიციპალიტეტში 1000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა სატუმბი სადგურების მშენებლობა, სადაწნეო მილსადენების, წყალგამანაწიებელი კვანძების, წყალშემკრებებისა და სხვა სამელიორაციო ნაგებობების მოწყობა. ამ ეტაპზე, რეაბილიტაცია უტარდება ხიხანისა და შაუმიანის სარწყავ არხებს. პროექტის ჯამური ღირებულებაა 3 659 900 ლარს შეადგენს.
მარნეულის მუნიციპალიტეტის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშოები 2019 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.

შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მრძელდება

17 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ნადარბაზევის წყალსაცავიდან მკვებავი სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სამუშაოები ითვალისწინებს წყალგამანაწილებელი არხების ჯამში 18 კმ-იანი მონაკვეთის წმენდას, რკინაბეტონის ღარებისა და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას.

ჩატარებული სამუშაოები შედეგად სოფელ ნადარბაზევის, შავშვების, ხურვალეთის, ნიგოზასა და ზემო რენეს 1300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 3 287 777 მლნ ლარია მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო და 2021 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე გორის მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

21 ოქტომბერი

კახეთში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას.

ამ ეტაპზე ეწყობა პოლიეთილენის სხვადასხვა დიამეტრის მილები საერთო სიგრძით 10 850 მეტრი.

ჩატარებული სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტში დამატებით 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის რეგულარულად მორწყვას უზრუნველყოფს.

პროექტის ღირებულებაა 1 935 879 მლნ ლარი.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

შპს „საქართველოს მელიორაცია" ტაშისკარის სარწყავი სისტემის აღდგენით სამუშაოებს ახორციელებს

26 ოქტომბერი

სოფელ ქვიშხეთში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან წყალგამანაწილებელი არხის 1000 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში 500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გაუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო არხით 5 სოფლის -ცხრამუხას, ქვიშხეთის, ოსიაურის, გომისა და აგარების მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოები კომპანიამ საკუთარი ძალებით ოქტომბრის დასაწყისში დაიწყო და დასრულების ეტაპზეა.

სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია სამცხე-ჯავახეთში

10 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სამცხე-ჯავახეთში ხევაშენის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დაასრულა.

დაბა აბასთუმანში აშენდა სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომლებიც სარწყავი სისტემის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

მოეწყო ნაპირდამცავი კედელი, აშენდა ხიდი, გაიწმინდა სარწყავი არხი.

განხორციელებული პროექტის შედეგად აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით, ადიგენის მუნიციპალიტეტში 300 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე ადიგენის მუნიციპალიტეტის მერთან, ზაქარია ენდელაძესთან ერთად ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნო.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები საქართველოს მელიორაციამ საკუთარი ძალებით მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო.

ტირიფონის მაგისტრალური არხის მაწმენდითი სამუშაოები

12 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რეგიონებში სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

ამჯერად სამელიორაციო სამუშაოები გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავ სისტემაზე დასრულდა.

კირბალი-ბერშუეთის მონაკვეთზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხი გაიწმინდა. ექსპლუატაციის პროგრამით განხორციელებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც მუნიციპალიტეტში 800 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო არხით კირბალის, ზერტის, ბერშუეთის, სობისისა და ხურვალეთის მოსახლეობა ისარგებლებს. აღნიშნული სამუშაოები, ასევე, ნადარბაზევის წყალსაცავისთვის უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას.

სარო-ხიზაბავრას მექანიკური მორწყვის სისტემის რეაბილიტაცია

16 ნოემბერი

საქართველოს მელიორაცია ასპინძის მუნიციპალიტეტში სარო-ხიზაბავრას მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტი 2 ეტაპად ხორციელდება. პირველ ეტაპზე I და II აწევის სატუმბი სადგურებისა და მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია ჩატარდა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სადაწნეო მილსადენის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც 1400 მეტრი სიგრძის მილსადენის შეცვლას ითვალისწინებს.

პროექტის განხორციელების შედეგად, აღდგენილი საირიგაციო სისტემის მეშვეობით, სოფლების საროსა და ხიზაბავრას 500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

პროექტის ღირებულებაა 562 000 ლარი.

სამცხე-ჯავახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე გაეცნო.

სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი იწმინდება

19 ნოემბერი

საქართველოს მელიორაცია სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს.

ქარელში მცენარეული ნატანისა და შლამისგან მაგისტრალური არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 1000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო არხით ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების სოფლების ქვემო ხვედურეთის, ზემო ხვედურეთის, ღვლევის, ქვენაფლავის, ქ. ქარელის, სკრის, ბეთლემისა და რიეთის მოსახლეობა ისარგებლებს.

შიდა ქართლში საირიგაციო სისტემის მოწესრიგება მრავლდება

24 ნოემბერი

საქართველოს მელიორაცია შიდა ქართლში ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ახორციელებს.

დანალექი გრუნტისა და მცენარეული საფარისაგან წყალგამანაწილებელი არხის 3 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

შედეგად სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი 650 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს (ძევერა, შერთული, კარალეთი და გარეჯვარი).

ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

3 დეკემბერი

სამელიორაციო მომსახურების 2020 წლის გადასახადისგან 34 600 აბონენტი გათავისუფლდა, დანაზოგმა 3 847 330 ლარი შეადგინა.

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით შემუშავებული სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“, მელიორაციის კუთხით მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს.

ფერმერები, რომლებიც ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებას 10 ჰა-მდე მიწის ფართობზე იღებენ 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან თავისუფლდებიან.

2 დეკემბრის მონაცემებით, დაწესებული სახელმწიფო შეღავათით ისარგებლა და 2020 წლის სამელიორაციო მომსახურების გადასახადისგან გათავისუფლდა 34 600 აბონენტი. ბენეფიციართა დანაზოგმა 3 847 330 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ ფარგლებში, წყალმომხმარებლებს სრულად ჩამოეწერათ 2020 წლამდე შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება.



ტბისი-კუმისის სარწყავ სისტემაზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

24 დეკემბერი

საქართველოს მელიორაცია რეგიონებში სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეუფერხებლად ახორციელებს.

ამჯერად სამელიორაციო სამუშაოები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. სოფელ ასურეთში ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე ამ დროისთვის 219 მმ-იანი ქსელი იცვლება.

შედეგად, 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს, დასრულების ეტაპზეა.